საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
(დედამინის მეგობრები – საქართველო)

გარემო და საზოგადოება

კონკურსი „სუფთა რეგიონი“
2019 წლის გამარჯვებულების დაჯილდოება

შინაარსი

კონკურსი "სუფთა რეგიონი - 2018" **3**

Contest "Clean Region - 2018" **8**

ნომინაცია ლამაზი ეზო **10**

აკაკი გედენიძის ეზო - ხონის მუნიციპალიტი 11

კორპუსის ეზო - ქ. ზუგდიდი, ქუჯის ქუჩა 12

ღვინის კომპანია GWS-ის ეზო 14

რამაზ კიკვაძის ეზო - წყალტუბო 15

ნონა ომარაშვილის ეზო -მცხეთა 16

ნომინაცია „ლამაზი აივანი" **20**

ნომინაცია სუფთა ქალაქი **22**

ნომინაცია „სუფთა მინიციპალიტეტი" **23**

ნომინაცია სუფთა სოფელი **26**

სოფ. ჭორვილა 27

სოფ. შორაპანი 27

სოფ. ობჩა 28

ნომინაცია „სუფთა რეგიონი" **29**

კონკურსი "სუფთა რეგიონი - 2018"

2019 წლის 18 იანვარს, „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს", საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით, ქ. თბილისის საკრებულოს მხარდაჭერით, ქ. თბილისის საკრებულოში, „თამარ მეფის" დარბაზში ჩატარდა პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო (ფაზა III)" ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის „სუფთა რეგიონი", გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონიალი.

პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო (ფაზა III)" ხორციელდება შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან და საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან, ასევე საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით.

გასული წლის მაისში გამოცხადებული კონკურსის მიზანი იყო ქვეყნის მასშტაბით ყველაზე „სუფთა რეგიონის“, „სუფთა მუნიციპალიტეტის“, „სუფთა ქალაქის“, „სუფთა სოფლის“, „სუფთა ქუჩის“, „ლამაზი ეზოსა“ და „ლამაზი აივნის“ გამოვლენა.

დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს შვედეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოსა და სომხეთში ულრიკ ტიდესტრომმა, პროგრამოფიცერმა შვედეთის საელჩოში ხათუნა ზალდასტანიშვილმა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ იური ნოზაძემ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ ნინო თანდილაშვილმა, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზაზა ხუციშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მარიკა დარჩიამ, საკონკურსო კომისიის წევრებმა, პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო ფაზა III“ განმახორციელებელი ორგანიზაციების, გამარჯვებული ნომინანტების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

კონკურსი პირველად 2015 წელს ჩატარდა სამ ნომინაციაში, რომელსაც 2017 წელს დაემატა კიდევ 2 ნომინაცია. ხოლო გასულ წელს გამოცხადებულ კონკურსში ნომინაციების რიცხვი გაიზარდა 7-მდე. კონკურსში მონაწილე რეგიონების, ქალაქების, მუნიციპალიტეტების, სოფლებისა და მოსახლეობის წარმომადგენლებს საკონკურსე პერიოდში საშუალება ჰქონდათ გადმოეგზავნათ ფოტო და ვიდეო მასალები საკუთარი საცხოვრებელი ადგილების შესახებ.

კონკურსის ნომინაციებში გამარჯვებულების გამოვლენა მოხდა სპეციალურად შექმნილი კომისიის (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები) მიერ.

Contest "Clean Region - 2018"

On January 18, the ceremony of awarding the winners of the Contest "Clean Region" -2018 , announced within the frames of the project "Clean Up Georgia (phase III) took place at the premises of Tbilisi City Assembly in Queen Tamar Hall ". The event was organized by the Greens Movement of Georgia / Friends of the Earth-Georgia, Parliamentary Committee for Environment Protection and Natural Resources and the Ministry of Environment Protection and Agriculture and with support of Tbilisi City Assembly.

The project is carried out with financial support of the Government of Sweden, with support of the Ministry of Environment and Agriculture of Georgia and in collaboration with Solid Waste Management Company, Parliamentary Committee for Environment Protection and Natural Resources and the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

The Contest "Clean Region" was announced in May last year and the aim was to identify the “Cleanest region”, “Clean municipality”, “Clean city / borough”, “Clean village / community”, “Clean street”, “Beautiful yard” and “Beautiful balcony” throughout the country.

The award ceremony was attended by the Extraordinary and Plenipotentiary Ambassador of the kingdom of Sweden to Georgia and Armenia H.E. Ulrik Tideström, Deputy Minister of Environment Protection and Agriculture Mr. Yuri Nozadze, Deputy Minister of Environment Protection and Agriculture Ms. Nino Tandilashvili, First Deputy Chairman of the Parliamentary Committee for Environmental Protection and Natural Resources Mr. Zaza Khutsishvili, Deputy Chairman of the City Council Ms. Marika Darchia, representatives of implementing organizations of the project "Clean Up Georgia Phase III" and members of the selection commission created in the framework of the project.

For the first time the contest was held in three nominations in 2015 and two more nominations were added in 2017. The number of nominations in the contest announced last year increased to seven. Representatives of regions, towns, municipalities, villages and population groups participating in the contest were able to send photos and video materials about their residence. On the basis of submitted materials the winners were revealed in the nominations by a special commission established within the framework of the contest (Ministry of Environment and Agriculture, representatives of CSOs and journalists).

ნომინაცია ლამაზი ეზო

ნომინაცია „ლამაზი ეზო“

კერძო „ლამაზი ეზო” - გამარჯვებულად დასახელდა აკაკი გედეხიძის ეზო (ხონის მუნიციპალიტეტი).

„კორპუსის ეზო“ - გამარჯვებულად დასახელდა ქ. ზუგდიდში, ქუჩის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი კორპუსის ეზო.

„იურიდიული პირის ეზო“ - გამარჯვებულად დასახელდა ღვინის კომპანია GWS -ის ეზო (თელავი).

იგივე ნომინაციაში („ლამაზი ეზო“) სიგელები გადაეცა რამაზ კიკვაძისა (ქ. წყალტუბო) და წინა ომარაშვილის (ქ. მცხეთა) ეზოებს.

აკაკი გედენიძის ეზო - ხონის მუნიციპალიტი

კორპუსის ეზო - ქ. ზუგდიდი, ქუჯის ქუჩა

ღვინის კომპანია GWS-ის ეზო



რამაზ კიკვაძის ეზო - წყალტუბო

ნონა ომარაშვილის ეზო -მცხეთა

ნომინაცია „ლამაზი აივანი“

გამარჯვებულად დასახელდა ფატმან გრიგოლავას სახლის აივანი (ქ. ქუთაისი)

ნომინაცია სუფთა ქალაქი

ნომინაცია „სუფთა ქალაქი“

გამარჯვებულად დასახელდა ქ. ზუგდიდი

ნომინაცია „სუფთა მუნიციპალიტეტი“

გამარჯვებულად დასახელდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტი.

ზუგდიდი — სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი, გაშენებულია ოდიშის დაბლობზე, მდინარე ჩხოუშის ნაპირას, ზღვის დონიდან 110 მ სიმაღლეზე. მოსახლეობა 105 509 ადამიანია. ზღვის სანაპიროდან დაშორებულია 30 კილომეტრით. ეკონომიკის დარგებია: სოფლის მეურნეობა, განვითარებადი გადამამუშავებელი მრეწველობა, ვაჭრობა, და მომსახურეობის სხვადასხვა სერვისები. სწრაფი ტემპით ვითარდება ანაკლია - განმუხურის საკურორტო ზოლი და ტურიზმი. ჰავა ნოტიო - სუბტროპიკულია. მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 66200 ჰექტარს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წლის 1 იანვრისათვის არალეგალური ნაგავსაყრელები არ ირიცხება. 2018 წელს მყარი ნარჩენების ეფექტიანად მართვის უზრუნველყოფის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, მოსახლეობის ფართო მასების მონაწილეობით ჩატარდა 180 - ზე მეტი სხვადასხვა აქტივობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 70% - ზე მეტმა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორია და მოსახლეობა მთლიანად, 100 % - ით არის უზრუნველყოფილი მყარი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურეობით, კერძოდ: ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 475 - ვე ქუჩა (13 113 კომლი) და 48 სასოფლო - ტერიტორიული ერთეულის ყველა მოსახლე (18206 კომლი) დღეისათვის უზრუნველყოფილია მყარი ნარჩენების გატანაზე მომსახურეობით „კარდაკარ შემოვლის“ მეთოდით.

ეს ნიშნავს, რომ წინმსწრები ტემპითაა შესრულებული ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმის ერთ- ერთი ძირითადი მოთხოვნა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი საკმაოდ აქტიური არის „დავასუფთაოთ საქართველოს“ და „დავასუფთაოთ მსოფლიოს კამპანიებში“.

მუნიციპალიტეტში შემუშავებულია მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018– 2022 წლების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის 28 დეკემბერს და მოიცავს ნარჩენების მართვის 5 წლიან პერიოდს.

ხუთწლიანი გეგმის მოთხოვნის შესაბამისად ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრში“ შეიქმნა “მომსახურეობის შემოსავლების (მოსაკრებლების) ამოღებისა და აღრიცხვის სამსახური“, ამ სამსახურის შემოღებამ, მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად გააუმჯობესა მოსაკრებლების ამოღების მაჩვენებლები. 2018 წელს მოსაკრებლების სახით ამოღებულია სულ 488,0 ათასი ლარი, რაც 46,2 ათასი ლარით მეტია წინა წელთან შედარებით.

მნიშვნელოვანი სიახლეა ის რომ, „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის„ ინიციატივით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ააიპ ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრში“ შეიქმნა ზედამხედველობის ჯგუფი, რომელიც ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული პირობების დამრღვევი იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ ახორციელებს სანქციებს იურიდიული და სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით.

მოსახლეობის მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვება ხდება 6 სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, კერძოდ:

- კოლექტიური (კონტეინერული მეთოდით) შეგროვება;
- კარდაკარ შეგროვლის მეთოდი - (,,ე. წ. ზარის'' პრინციპი);
- ტერიტორიების ყოველდღიური დაგვა - დასუფთავება დამგველი მანქანით;
- ტერიტორიების ყოველდღიური დაგვა - დასუფთავება ხელით და წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება - დატვირთვა ნაგავმზიდებზე და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელამდე;
- ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლში ზღვის ამონაყარის და ნარჩენების შეგროვება სპეციალური, უნივერსალური ტექნიკა - ზღვის ამონაყარის ამკრეფი მისაბმელით და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელამდე ორხიდიანი კომპაქტორიანი ნაგავმზიდით;
- მზიან ამინდში წყალმშხეფი მანქანით ყოველდღიურად ქალაქის ცენტრალური ნაწილის მორწყვა და რეცხვა.

მერიის მიერ 2016 - 2018 წლებში შეძენილი იქნა 7 ერთეული კომპაქტორიანი ნაგავმზიდი;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გაზიდვის მიზნით, იჯარით იქნა აღებული 17 ღია ტიპის თვითმცლელი სატვირთო ავტომანქანა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2018 წ განთავსებულ იქნა 674 ცალი ახალი 1,1მ^3 ტევადობის პლასტმასის კონტეინერი, რომლებიც განთავსდა როგორც ქალაქის, ისე სასოფლო - ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე.

2018 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნაგავსაყრელში გაზიდულია 28 ათას ტონაზე მეტი მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

2018 წელს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ მიერ 2018 წელს გამოქვეყნებულ იქნა 1300 - ზე მეტი პოსტი, სადაც აისახა ცენტრის მიერ განხორციელებული სამუშაოები, დანერგილი სიახლეები, აქტივობები, ინიციატივები და სააგიტაციო - შემეცნებითი მასალები მყარი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით.

გუბერნიის, მერიისა და ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრის” ერთობლივი საქმიანობის შესახებ მონაცემები და ინფორმაციები სისტემატიურად ქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

ნომინაცია სუფთა სოფელი

ნომინაცია „სუფთა სოფელი“

გამარჯვებულად დასახელდა სოფ. ჭორვილა (საჩხერის მუნიციპალიტეტი)
წამახალისებელი სიგელები გადაეცა
სოფელ შორაპანსა (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი) და სოფელ ობჩას (ბაღდადის მუნიციპალიტეტი)

სოფ. ჭორვილა

სოფ. შორაპანი

სოფ. ობჩა

ნომინაცია „სუფთა რეგიონი“

ნომინაცია „სუფთა რეგიონი“ გამარჯვებულად დასახელდა კახეთის მხარე

გამოცემაზე მუშაობდა: მარიკა ფიროსმანაშვილი

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები საქართველო
საქართველო, თბილისი, სლავა მეტრეველის 4
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2399543; ელ-ფოსტა: info@greens.ge
ვებ-გვერდი: www.greens.ge, www.cleanup.ge